ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №118

2013 წლის 23 ოქტომბერი,
ქ. ბათუმი

„სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 ნოემბრის №230 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 34-36-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 56-59-ე მუხლების და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 ივნისის №65–ე დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე–3 მუხლის 3.1. პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის განხილვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 ნოემბრის #230 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

ა) №230 დადგენილების დანართი 1-ის (წესის) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.უნივერსიტეტის პროფესორად არაუმეტეს 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად არაუმეტეს 5 (ხუთი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება“.

3. უნივერსიტეტის ასისტენტ–პროფესორად არაუმეტეს 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

4. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი არაუმეტეს 3 (სამი)წლის ვადით

5. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის კონკურსში მონაწილეობის უფლება, ასევე საკონკურსო თანამდებობის დაკავების კონკრეტული ვადა განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით“.

ბ) №230 დადგენილების დანართი 1-ის (წესის) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭო“.

გ) #230 დადგენილების დანართი 1-ის (წესის) მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საკონკურსო კომისია იქმნება უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა გამოვლენის მიზნით“.

დ) №230 დადგენილების დანართი 1-ის (წესის) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობებზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს:“

ე) №230 დადგენილების დანართი 1-ის (წესის) მე-6 მუხლის მე-3.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1. ასისტენტის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს:“

ვ) №230 დადგენილების დანართი 1-ის (წესის) მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში რომელიმე საკონკურსო თანამდებობაზე არ მონაწილეობდა არც ერთი კონკურსანტი ან კონკურსის ჩატარების შედეგად არ შეივსო შესაბამისი ვაკანსია, დარჩენილ ვაკანსიაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.“

ზ) №230 დადგენილების დანართი 1-ის (წესის) №3 დანართის (კონკურსანტის ანკეტა) „ბ“ პუნქტით განსაზღვრულ საკონკურსო პოზიციას დაემატოს საკონკურსო თანამდებობა „ასისტენტი“;

თ) №230 დადგენილების დანართი 1-ის (წესის) №4 დანართის (კონკურსანტის შეფასების ფორმა) „ბ“ პუნქტით განსაზღვრულ საკონკურსო პოზიციას დაემატოს საკონკურსო თანამდებობა „ასისტენტი“;

2. **დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს ბსუ–ს კანცელარიას;**

3. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**